ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 03 ივნისის N№24.24221541 ბრძანებით დამტკიცებული „განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომა

სხდომის ოქმი N8

ზუგდიდი, 14 დეკემბერი

სხდომის ადგილი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი
სხდომის დაწყების დრო: 12:00 საათი.

დღის წესრიგი:

საკითხი.1 განსახილველად შემოგვაქვს მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები, ბუდაპეშტის იოტვოშ ლორანდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტის გოგა დარასელიას განცხადება. გოგა ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას. (10.11.2022 წლის N19/2422314186-24 წერილი)
საკითხი.2 განსახილველად შემოგვაქვს ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები, საფრანგეთის პარიზის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტის კონსტანტინე ხარჩილავას განცხადება. კონსტანტინე ითხოვს ფინანსურ ხელშეწყობას. (22.11.2022 წლის N19/242232676-24 წერილი)
საკითხი.3 განსახილველად შემოგვაქვს განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის სახელწოდების ცვლილების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის მდივანი:

ბელა ხუბუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის წევრი, კომისიის მდივანი.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **კონსტანტინე კაკავა-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- კომისიის თავმჯდომარე;

• **იდა ქვარაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

• **კობა ჯიქია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

• **მაია ჩიტაია** --ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე- კომისიის წევრი;

• **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

• **ხათუნა დარასელია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

• **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

• **ია ეხვაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

• **ნინო სიჭინავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.

• **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

• **ნათია ფიფია**- ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი-კომისიის წევრი;

• **ბელა ხუბუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის წევრი, კომისიის მდივანი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა კომისიის 3 წევრი.

• **ზამირა ღადუა** –ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;

• **ლაშა ჯიქია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

• **მამუკა ბულია** - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი-კომისიის წევრი;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

პირველ საკითხად მოისმინეს: ბუდაპეშტის იოტვოშ ლორანდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტის გოგა დარასელიას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო გოგა დარასელიას განცხადება, წარმოდგენილი საბუთები სრულყოფილია და შეესაბამება განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის წესს. მე მხარს ვუჭერ გოგას დაფინანსებას.

აზრი გამოთქვეს: განხორციელდა განმცხადებელთან ონლაინ ჩართვა და შედგა გოგა დარასელაისთან ინტერვიუ, რომელმაც ამომწურავად ისაუბრა კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე უცხოეთში სწავლასთან დაკავშირებით.

კონსტანტინე კაკავამ- აღნიშნა რომ დღევანდელი შეკრების მიზეზია ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება და მათი მოტივაციის ამაღლება. ამ კომისიამ გამოავლინა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა. 2022 წელს ამ კომისიის მიერ დაფინანსებულია 45 ახალგაზრდა. ამდენი წარმატებული და მიზანდასახული ახალგაზრდა ჰყავს ჩვენს მუნიციპალიტეტს, რაც ნიშნავს ახალ ძლიერ ძალას ჩვენი მომავალი ძლიერი ქვეყნის ასაშენებლად. აღნიშნა რომ გოგა არის წარმატებული და ჩვენი მცირედი ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის მხრიდან არის მხარდაჭერის გამოხატვა. მხარს ვუჭერ ამ ახალგაზრდის დაფინანსებას. ჩვენი მიზანია შესაძლებლობები განუვითაროთ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს.

ზაზა გაბისონია-ამ კომისიამ გამოავლინა ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა. მე როგორც კომისიის წევრი ყველა მათგანის განვითარებას და წინსვლას ვუჭერ მხარს. რაც შეეხება გოგა დარასელიას მას სრულყოფილად აქვს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შესაბამისად თანახმა ვარ დაუჭირო მხარი მის დაფინანსებას.

მეორე საკითხად მოისმინეს: საფრანგეთის პარიზის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტის კონსტანტინე ხარჩილავას განცხადება.

მომხსენებელმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო კონსტანტინე ხარჩილავას განცხადება, კონსტანტინეს დოკუმენტაცია სრულყოფილია და შეესაბამება განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის წესს. მე მხარს ვუჭერ მის დაფინანსებას.

კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა რომ კონსტანტინე ხარჩილავა რომელიც სწავლობს საფრანგეთში და არის წარმატებული სტუდენტი ვფიქრობ მხარი უნდა დაუჭიროთ მის დაფინანსებას. მე თანახმა ვარ კონსტანტინემ კიდევ ერთმა ზუგდიდელმა სტუდენტმა იგრძნოს მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა.

ბელა ხუბუამ აღნიშნა რომ კონსტანტინე ხარჩილავას დოკუმენტაცია სრულყოფილია. კონსტანტინე ვერ ჩაერთო ონლაინ კომისიის წინაშე რადგან იმყოფება გამოცდაზე და ვერ ახერხებს ჩართვას. ფიქრობს რომ ის ნამდვილად იმსახურებს ფინანსურ მხარდაჭერას.

მესამე საკითხად მოისმინეს: „განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის“ სახელწოდების ცვლილების საკითხი.

გიგლა სულამანიძე მესამე საკითხი არის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის წესის სახელწოდების შეცვლა. ვფიქრობ სასიამოვნო სიახლე იქნება ამ ცვლილების შეტანა რაც ბევრ სიახლეს მოუტანს ამ კომისიას. ვეთანხმები კომისიის თავმჯდომარის ინიციატივას სახელწოდების შეცვლაზე. დღევანდელი სხდომის ოქმშიც აისახება ამ ცვლილების განხორციელება.

კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა, რომ რაც შეეხება „განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის სახელწოდების შეცვლას, ჩემი აზრით კარგი იქნება შეიცვალოს ეს სახელი და 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“. ხოლო პროგრამის განხორციელების მე-6-ე მუხლით გათვალისწინებული დაფინანსება, რომელიც ითვალისწინებს უცხოეთში სწავლის დაფინანსებას მოხდეს ორ ეტაპად - ჯერ ერთი სემესტრი დავუფინანსოთ, შემდგომ ისევ თუ გააგრძელებს სწავლას, თავიდან შემოიტანოს მეორე სემესტრის დაფინანსების მოთხოვნა და ხელახლა განვიხილოთ მისი დაფინანსების საკითხი. დებულებასაც უნდა გადავხედოთ კარგად და ერთად შევთანხმდეთ ცვლილებებზე.

ზაზა გაბისონია ვეთანხმები კომისიის თავმჯდომარის ინიციატივას სახელწოდების შეცვლაზე, რადგან შესაცვლელი იქნება დებულება და სხვა მარეგულირებელი აქტები. საფუძველი გვექნება დღევანდელი სხდომის ოქმი, ამ ოქმის საფუძველზე დაიწერება განმარტება.

მონიკა შამათავამ-აღნიშნა, რომ თუ კომისია მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით, აღნიშნული ცვლილების ასახვა უნდა განხორციელდეს კომისიის შექმნის შესახებ ბრძანებაში და პროგრამის განხორციელების წესში.

გადაწყვეტილება:

1. გოგა დარასელიას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 3000 ლარის ოდენობით.
2. კონსტანტინე ხარჩილავას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 3000 ლარის ოდენობით.
3. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის წესის სახელწოდება შეიცვალოს შემდეგი სახელწოდებით „ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“.

სხდომა დახურულად გამოცხადდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:

კონსტანტინე კაკავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

იდა ქვარაია

კომისიის წევრები:

მაია ჩიტაია

მონიკა შამათავა

კობა ჯიქია

ნათია ფიფია

გიგლა სულამანიძე

ია ეხვაია

ხათუნა დარასელია

ნინო სიჭინავა

ზაზა გაბისონია

ბელა ხუბუა